სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 2, ივნისი, 2019 წ.

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა: gaas.georgia@gmail.com ვებ-გვერდი: http//:gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 291 03 90

ბევრი არ უნდა ჰქონდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფეხჭ სიტყვად არ მიაჩნია.

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის პრეზიდიუმის მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

შაქრის შემცვლელი სტევიის კულტურის სამრეწველო წარმოების ხელშეწყობისათვის შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2019 წლის 24 მაისს მოისმინა მოხსენება შაქრის შემცვლელი სტევიის კულტურის სამრეწველო წარმოების ხელშეწყობისათვის შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიკოსი თემურ რევიშვილი; აკადემიკოსი ვალერიან ცანავა.

აღინიშნა, რომ გლობალური სამედიცინო პრობლემებიდან, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს აწუხებს, ერთ-ერთ მწვავეს შაქრიანი დიაბეტი წარმოადგენს, მისი გავრცელების მზარდი დინამიკის გამო. ამ ფონზე მეტად აქტუალურია დაბალკალორიული, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი, მცენარეული წარმოშობის ბუნებრივი დამატკბობლების ძიება. მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთი ასეთი ბუნებრივი დამატკბობლის წყაროს სტევია, "ორფოთოლა ტკბილი" (Stevia Rebaudiana Bertoni) წარმოადგენს. იგი ტროპიკული ბუჩქოვან-ბალახოვანი მცენარეა, ველურ პირობებში გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში (პარაგვაი, ბრაზილია). ამ ქვეყნებში სტევიის ფოთლების ნატურალურ დამატკბობლად გამოყენება უძველესი დროიდან არის ცნობილი.

სტევიის ფოთოლი ძირითადად გამოიყენება ტკბილი დიტერპენული გლიკოზიდების შემცველობის გამო, რომლებიც 100-300-ჯერ უფრო ტკბილია ვიდრე საქაროზა, ხოლო საკუთრივ სტევიის მშრალი ფოთლები კი – 20-30-ჯერ. ამ მცენარის ფოთლებში მრავლად არის აგრეთვე სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებიც.

სტევიის სამრეწველო პლანტაციები წარმოდგენილია იაპონიაში, სამხრეთ ამერიკაში (ბრაზილია, პარაგვაი), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (კორეა, ჩინეთი, ტაივანი და სხვა), ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში, ასევე უკრაინაში, მოლდოვაში, უზბეკეთში, რუსეთში. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული სტევიის პროდუქცია ძირითადად იაპონიაში ექსპორტირდება. ეს ქვეყანა დღეისათვის ითვლება მსოფლიოში სტევიის და მისგან მიღებული პროდუქტების ყველაზე მსხვილ მომხმარებლად. იაპონიის დამატკბობლების სამომხმარებლო ბაზრის 40%-ზე მეტი სტევიის ექსტრაქტებს უჭირავს. იაპონელები ლიდერობენ აგრეთვე სტევიის ექსტრაქტების შემდგომი დამუშავების და გლიკოზიდების გამოყოფის სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიმართულებით.

სტევიის კულტურის ინტროდუცირება საქართველოში 1986 წელს განახორციელა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ უკრაინიდან, დამეგობრებული შაქრის ჭარხლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან. ამ პერიოდიდან იწყება ამ კულტურაზე გეგმაზომიერი კვლევითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამუშაოები ინსტიტუტის განთავსების ადგილზე ოზურგეთში, ანასეულში, ასევე მის საცდელ ბაზებზე ჩაქვში, ფოთში და სოხუმში.

ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი, საცდელი და ტექნოლოგიური ხასიათის სამუშაოების შედეგების გაანალიზების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის განკარგულებით "შაქრის შემცვლელი სტევიის კულტურის წარმოებაში დანერგვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" მიზანშეწონილად ჩაითვალა სტევიის კულტურის სამრეწველო წარმოების განვითარება და მისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. ამ დოკუმენტში აისახა საქართველოში სტევიის მოვლა-მოყვანის და გადამუშავების სრულყოფილი ტექნოლოგიების შემუშავების ძირეული საკითხები.

შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის საცდელ ბაზებზე სტევიის სანერგეების მოწყობა, სამრეწველო დანიშნულებით ნერგის წარმოება და ქსოვილის კულტურის (in vitro) ლაბორატორიის გამართვა მიკროკლონური გამრავლებისათვის. სუბტროპიკული ზონის ზოგიერთ რეგიონში პლანტაციების გაშენება, მათ შორის, ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებში. წარმოებული ნედლეულიდან გამომუშავდა და რეალიზებული იქნა სხვადასხვა სახის საკვები და დიეტურ-პროფილაქტიკური პროდუქტების საცდელი პარტიები, მათ შორის, თხევადი კონცენტრატები და ექსტრაქტები, სასმელები, სხვადასხვა სახის ჩაი სტევიის კომპონენტებით და სხვა.

შემდგომ პერიოდში, არასტაბილურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ, სამომხმარებლო ბაზრის არასათანადოდ შესწავლამ და მომხმარებლის არაინფორმირებულობამ, თითქმის მილევად რეჟიმში გადაიყვანა ბიზნეს აქტიურობა სტევიის კულტურის მიმართ. არ შეწყვეტილა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მცენარის მოვლა-მოყვანის, ნედლეულის შენახვა-გადამუშავების და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყოფის ტექნოლოგიების სრულყოფისა და მათი გამოყენებით ახალი სახის საკვები და დიეტურ-პროფილაქტკური დანიშნულების პროდუქტების შექმნისა და დამუშავების მიმართულებით შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით და ხელშეწყობით.

სადღეისოდ სტევიის კულტურა, მათ შორის, სხვადასხვა ჯიშ-ფორმა, მცენარეთა ბანკის სახით, შემორჩენილია ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ანასეულში და ერთ-ერთ ფერმერულ მეურნეობაში.

წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება ქვეყნის სუბტროპიკული ზონის აგროეკოლოგიური რესურსის რაციონალური გამოყენების პრობლემებს, ეკონომიკის შემდგომი სტიმულირების მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე მის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს შეადგენს:

- შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, კერძო ბიზნესის, ფერმერების და დონორი ორგანიზაციების დაინტერესება ინტროდუცირებული, არატრადიციული შაქრის შემცვლელი სტევიის კულტურით და საქართველოში მისი ფართო სამრეწველო ათვისებით;

- შაქრის შემცვლელი სტევიის კულტურის სამრეწველო ათვისება-გავრცელების ყოვლისმომცველი სამთავრობო პროგრამის შემუშავება, რომელშიც ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებთან ერთად დეტალურად იქნება გაწერილი მცენარის ჯიშური შედგენილობის გაუმჯობესების, ელიტური სარგავი მასალის მიღების, მოვლა-მოყვანის, გადამუშავების და აქტიური მიზნობრივი ქიმიური ნაერთების გამოყოფის მაღალეფექტური ტექნოლოგიების შემუშავებისა და სრულყოფის ღონისძიებები;

- მომხმარებლის სოციალური დაკვეთის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის და ხარისხის სტევიის ნედლეულზე და მისი გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქტებზე;

- მაღალპროდუქტიული და მაღალი სამომხმარებლო ღირსების მატარებელი ჯიშ-ფორმების და უახლესი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობათა ღონისძიებების შემუშავება.

სტევია თავის სამშობლოში მრავალწლიანი მცენარეა, რომელიც ახალ ამონაყარს ფესურებისაგან იძლევა შესვენების შემდეგ. საქართველოში მისი მოყვანა შეიძლება ერთწლიანი კულტურის სახით, ვინაიდან ზამთარში ფესურა იყინება (ხმება). დაცვითი ღონისძიებების გატარებით, ან თბილი ზამთრის პირობებში შეიძლება ფესურებმა გადაიზამთრონ და გაზაფხულზე ამონაყრები მივიღოთ. ზოგადად, შემოდგომით მოსავლის აღების შემდეგ ფესურები უნდა ამოითხაროს და მოხდეს მათი შენახვა სათბურის პირობებში, ფესვების ამონაყრების მიღების მიზნით. მიღებული ამონაყრები გამოიყენება მცენარის დაკალმებისათვის.

სტევიის გამრავლება შესაძლებელია:

- ვეგეტატიურად, ახალგაზრდა ყლორტების დაფესვიანებით-მწვანე დაკალმება;
- ფესურების დაყოფით ;
- ქსოვილების კულტურის (in vitro) მეთოდით, თანაბარი განვითარების მქონე ჯანმრთელი სარგავი მასალის მიღების უზრუნველსაყოფად.

თესლით გამრავლებას პრაქტიკულად არ მიმართავენ იმის გამო, რომ სტევიას თესლის მიღება ძნელია და მიღების შემთხვევაშიც კი აღმოცენების უნარი ძალზედ დაბალია.

სამრეწველო მიზნებისათვის ამჟამად გამრავლების ვეგეტატიური მეთოდი გამოიყენება. სტევიის დაკალმება პრაქტიკულად შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში ნოემბრიდან მაისამდე. დაკალმების საუკეთესო პერიოდად ითვლება იანვარი-თებერვალი და მარტი-აპრილი. სტევიის ნერგების გამოყვანის ყველაზე უკეთესი შედეგი მიიღება ხელოვნური ნისლის კამერებში, სათბურებსა და კვალსათბურებში, სადაც დაცული

უნდა იყოს დადგენილი ოპტიმალური ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა. კალმების დაფესვიანება ხორციელდება სპეციალურად მომზადებულ სუბსტრატზე. ოპტიმალური პარამეტრების სრული დაცვის პირობებში სტევიის დაფესვიანების პროცესი დაკალმებიდან მე-10- მე-12 დღეს იწყება და მასიურ განვითარებას მე-15-მე-20 დღეს აღწევს. ამის შემდეგ წარმოებს "გამოწრთობა-გაკაჟების" პროცესი 2-3 დღის განმავლობაში და ნერგი სიმაღლით 10-14 სმ მზად არის დასარგავად.

ღია გრუნტში ჩითილების დარგვა წარმოებს 10^0C საშუალო სადღე-ღამისო ტემპერატურის პირობებში. სტევია კარგად ვითარდება მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ტენიან ნიადაგზე. აღსანიშნავია, რომ ფესვთა სისტემის შედარებით ზედაპირული განვითარების გამო იგი გვალვებისადმი მეტად მგრძნობიარე მცენარეა. სუსტი მჟავე არის რეაქციის მქონე, ჰუმუსითა და საკვები ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგზე ძლიერია სტევიის ზრდის ინტენსიობა.

გვალვებისადმი სტევიის მგრძნობიარობის გამო დიდ ფართობზე მისი გაშენებისას რეკომენდებულია ქარსაფარი ზოლების სისტემის არსებობა ან მოწყობა.

პლანტაციის გაშენების დროს ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია მცენარის კვების ოპტიმალური არე, რაც ერთეულ ფართზე მცენარეთა სიხშირეს გულისხმობს. ნიადაგის ტიპის, მისი ნაყოფიერების დონისა და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით მცენარის გაშენების სიხშირე განსხვავებულია და დიდ დიაპაზონში მერყეობს, საშუალოდ 45000 – 55000 მცენარის ფარგლებშია 1 ჰექტარზე.

სტევიას მოთხოვნილება საკვებ ნივთიერებებზე განსხვავებულია ნიადაგის ტიპის და საკვები ნივთიერებებით მისი უზრუნველყოფის მიხედვით. სტევიის პლანტაციაში გამოიყენება მინერალური (NPK) და ორგანული სასუქები (ნაკელი, ტორფკომპოსტები დადგენილი ნორმების მიხედვით.

მცენარის გაშენების პირველ პერიოდში აუცილებელია სისტემატური მორწყვა საღამოს საათებში, სასურველია აგრეთვე დაჩრდილვა. პლანტაცია სისტემატურად საჭიროებს მოვლითი ღონისძიებების ჩატარებას.

1000 მ^2 (0,1 ჰა)-ზე სტევიის კულტურის გაშენების, მოვლა-მოყვანის და ნედლეულის დამზადების ხარჯები, სრული აგროტექნიკური ღონისძიებების ფონზე და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის გათვალისწინებით, საორიენტაციოდ 3200 ლარს შეადგენს.

სტევიის მოსავალს ვეგეტაციური მწვანე მასა წარმოადგენს, რომლის აღება ჩვენს პირობებში 2-3-ჯერ ხდება. კარგ შედეგს იძლევა ნაზი 8-10 სმ სიგრძის ყლორტების დამზადება. ამ შემთხვევაში მაღალია პროდუქციის ხარისხი და მოსავლიანობა. სტევიის ფოთლის აღება სასურველია იმ პერიოდში, როდესაც მასში ტკბილი დიტერპენული ნაერთების შემცველობა მაქსიმუმს აღწევს. ჩვენს პირობებში ეს მაჩვენებელი 9-10%-მდეა მშრალ მასაზე გაანგარიშებით, აქედან სტევიოზიდი 5,5-6,0%-ია, რებაოდიოზიდები A და C, შესაბამისად 2,8-3,7%, და 0,3-0,5%, ხოლო დულკოზიდი – 0,1%. მცენარის ზრდა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მათი შემცველობა განსხვავებულია და მაქსიმალურ რაოდენობას მცენარის ბუტონიზაციის ფაზაში აღწევს.

ჩვენს პირობებში სტევიის საშუალო სა-ჰექტარო მოსავლიანობა ერთწლიან ციკლში 7 ტონის ფარგლებშია, რაც 2,0 ტონა მშრალი მასის ექვივალენტია.

ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მაქსიმალური და ცვლილებების გარეშე შენარჩუნების მიზნით საჭიროა დამზადებული ნედლეულის სწრაფად და უდანაკარგოდ გადამუშავება. ხანმოკლე, არა უმეტეს 3 სთ-ის, შენახვის პროცესში დაუშვებელია ნედლი მასის ჩახურება. სტევიის ფოთლის ხანგრძლივი შენახვა შესაძლებელია მხოლოდ მშრალ მდგომარეობაში, არაუმეტეს 9% ტენის შემცველობის პირობებში. ფოთლის შრობა შესაძლებელია ბუნებრივ პირობებში, ან ხელონურად, საშრობი დანადგარის გამოყენებით. სტევიის ღეროები უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავენ ტკბილ ნივთიერებებს და ამიტომ ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში საჭიროა მათი გამოყოფა. დასაშვებია მშრალ მასალაში 10%-მდე ღეროების შემცველობა. გამომუშავებულ მშრალ მასაში დიტერპენული გლიკოზიდების მასური წილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7%-ს.

სტევიის ტკბილი ექსტრაქტის, კონცენტრატების (თხევადი, მშრალი) და ტკბილი დიტერპენული გლიკოზიდების ჯამური პრეპარატების მიღება შესაძლებელია როგორც მშრალი, ასევე ნედლი მასალიდან. მიზნობრივი პროდუქტების მიღების შემდეგ ნედლეულის საერთო მასის 55-90% რჩება საექსტრაქციო შროტის სახით, რომელიც თავისი ქიმიური შედგენილობიდან გამომდინარე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ორგანულ სასუქად სტევიის ნარგაობებში.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

- საქართველოს სუბტროპიკული რეგიონის აგროეკოლოგიური პირობები აკმაყოფილებს სტევიის მცენარის კულტივირების მოთხოვნებს, რაც დადასტურებულია 30-წლიანი სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საწარმოო და ტექნოლოგიური სამუშაოების მონაცემებით;

- შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, კერძო ბიზნესის და დონორი ორგანიზაციების დაინტერესების შემთხვევაში პრაქტიკულად არსებობს საკმარისი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მონაცემები, შესაბამისი კადრები და ინფრასტრუქტურა საქართველოში სტევიის სამრეწველო წარმოების აღორძინების, მისი გავრცელების არეალის გაფართოების და შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის.

საქართველოს აგროსაინჟინრო დარგის არსებული მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ

2019 წლის 28 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ნუგზარ ებანოიძის მოხსენება „**საქართველოს აგროსაინჟინრო დარგის არსებული მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ.**“

აღინიშნა, რომ საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის აგროსაინჟინრო სფეროში საჭიროა რადიკალური ღონისძიებების გატარება და არსებული არაეფექტური სისტემის მოდერნიზაცია, ვინაიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ჩატარებული, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებები ჯერ-ჯერობით ვერ იძლევიან საბოლოო შედეგებს, რომლებიც აამაღლებენ სოფლის-მეურნეობის ცალკეული დარგების რენტაბელურობას და გააუმჯობესებენ ფერმერების და სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას.

დღეისათვის საქართველოში სოფლის მეურნეობის აგროსაინჟინრო სფეროს ძირითადად ემსახურება შპს „მექანიზატორი“, რომელსაც საქართველოს მაშტაბით გააჩნია 13 სერვისცენტრი, რომლებშიც მობილიზებულია თანამედროვე ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ფერმერებს და სოფლის მოსახლეობას, ერთის მხრივ შეუძლიათ მიიღონ ტექნიკური სერვისი სხვადასხვა კულტურების მოვლა-მოყვანიისათვის საჭირო ოპერაციების შესრულებისათვის. მეორეს მხრივ, საწვავისა და ტექნიკის მაღალი თვითღირებულების, ასევე შპს „მექანიზატორის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯების და სხვა ფაქტორების გამო სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების შესრულების ტარიფული ღირებულება მაღალია. შესაბამისად შპს „მექანიზატორის“ ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი დაბალია, გარდა ამისა შპს „მექანიზატორის“ საკუთრებაში არსებული უცხოური ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოსულია მწყობრიდან, ხოლო ნაწილი ადგილობრივ პირობებთან და შესასრულებელ ოპერაციებთან შეუთავსებლობის გამო დაუტვირთავია. საბოლოო ჯამში სოფლად ტექნიკის უკმარისობის გამო სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები გათვალისწინებულ კალენდარულ ვადებში ვერ სრულდება.

სოფლად შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მწვავედ დგას საკითხი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (ფერმერული, კერძო, გლეხური მეურნეობები, კოპერატივები და სხვა), აგროსაინჟინრო მომსახურების და ტექნიკით უზრუნველყოფის ოპტიმიზაციის შესახებ. არსებულ პირობებში საჭიროა გამოიძებნოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური სერვისის ისეთი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც შედარებით იაფ და ხარისხიან მომსახურებას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს; ამ მიმართულებით მიზანშეწონილია ცალკეულ მუნიციპალიტეტებში შეიქმნას მანქანა-ტრაქტორთა პარკი (მტპ), რომელშიც თავმოყრილი იქნება ამა თუ იმ რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისათვის ადაპტირებული და პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის საჭირო აუცილებელი ტექნიკური საშუალებები: ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, მოტობლოკები, სტაციონალური დანადგარები და სხვ.

მტპ-ს ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიაგნოსტიკის ტექნიკური მომსახურების და მიმდინარე რემონტისათვის საჭირო საშუალო სიმძლავრის მექანიკური სახელოსნოები. ე.წ. ტექნიკური სერვისის ობიექტები, სადაც შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიაგნოსტიკური კვლევა, მარტივი სათადარიგო ნაწილების და სამაგრი დეტალების დამზადება, ტექნიკური მომსახურება და გეგმიური რემონტის ჩატარება, ვინაიდან დღეისათვის არსებული სისტემით, ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მომხმარებელი დამოკიდებულია სადილერო ორგანიზაციებზე, რომლებიც სათადარიგო ნაწილს, დეტალს, კვანძს და სხვა მოწყობილობას უკვეთავენ მწარმოებელს და შემდეგ ხდება მათი შესყიდვა. ასეთი ოპერაციების შესრულება მოითხოვს დიდ დროს და ფინანსურ დანახარჯებს. შესაბამისად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების შესრულების კალენდარული ვადები, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს ამა თუ იმ კულტურის წარმოების რენტაბელობაზე.

დღეისათვის საგანგაშო მდგომარეობაა სოფლის მეურნეობის აგროსაინჟინრო დარგის კვალიფიცირებული სპეციალისტებით უზრუნველყოფის მიმართულებით. ქვეყანაში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში არ ფუნქციონირებს ან შეზღუდულია სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტები, სადაც ადრე ამზადებდნენ კვალიფიციურ ინჟინერ-მექანიკოსებს; ასევე გაუქმებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებშიც მუშაობდნენ დარგის მეცნიერები და სპეციალისტები. მიმდინარეობდა კვლევები და იქმნებოდა მანქანები სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის.

ქართველი მეცნიერების და მანქანათმშენებლების ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს გასული საუკუნის 70-90-იან წლებში შექმნილი სას.სამ.მანქანების, მათ შორის ჩაის მოვლა-მოყვანის

მანქანათა კომპლექსის კონსტრუქციების განახლების და მათი წარმოებაში გამოყენების საკითხი. დღეისათვის მეჩაიეობის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) სარგებლობენ ჯერ კიდევ 1970-80-იან წლებში გამოშვებული ჩაის საკრეფი და სასხლავი მანქანებით. საჭიროა მათი კონსტრუქციების დახვეწა და ახალი მანქანების შექმნა.

2014 წელს ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის სტრუქტურაში ფუნქციონირებს აგროსაინჟინრო-კვლევის სამსახური 5 სპეციალისტის შემადგენლობით. მათ შორის ორი სტუდენტ-დოქტორანტი. ცხადია ამ კონტიგენტით შეუძლებელია იმ პრობლემის და ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დღეისათვის არსებობენ სოფლის მეურნეობის აგროსაინჟინრო სფეროში. მაგრამ, მიუხედავად სპეციალისტთა სიმცირისა, აგროსაინჟინრო სამსახურის თანამშრომლების მიერ 2015-2017 წლებში დამუშავებული და დამზადებულ იქნა მარტივი კონსტრუქციის 7 სხვადასხვა დანიშნულების მანქანა მოწყობილობების საცდელი ნიმუშები. ასევე დამუშავებულია ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მანქანური ტექნოლოგიები, ოპერაციათა ბიოენერგეტიკული შეფასებით. დამუშავებული მანქანები და მოწყობილობები გამოიცადა ლაბორატორიულ და საველე პირობებში. მიღებულია დამაკმაყოფილებელი შედეგები. შემდგომ ეტაპზე საჭიროა ცალკეული მანქანის 3-5 ეგზემპლარის ქარხნული წესით დამზადება და გამოცდა საწარმოო პირობებში. ასეთი მოცულობის სამუშაოების შესრულება აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის ძალებით შეუძლებელია. საჭიროა ამ სამსახურის გაძლიერება მინიმუმ 7-ი სპეციალისტით: (კონსტრუქტორი, მანქანათმშენებელი, ინჟინერ გამომცდელი და ინჟინერ მექანიკოსი), რომლებიც ითანამშრომლებენ ქარხანა დამამზადებლებთან, მარტივი კონსტრუქციის ს.ს. მანქანა-იარაღების შექმნაზე და წარმოებაში დანერგვაზე. დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძირითადად შემოაქვთ დილერებს საზღვარგარეთიდან და უმეტეს შემთხვევაში ქართველი ფერმერებისათვის სიძვირის გამო ხელმიუწვდომელია.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მსოფლიო მეაბრეშუმეობის საკითხებზე მსჯელობს

მიმდინარე წლის 7- 12 აპრილს ქ. ბათუმში, სასტუმროში “ინტურისტ ბათუმი ჰოტელ”, ჩატარდა შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) მე-9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “მეაბრეშუმეობის შენარჩუნება და განვითარება, პრობლემები და პერსპექტივები”.

აღნიშნული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 2005 წელს და მასში საქართველოსთან ერთად გაერთიანებული იყო 9 ქვეყანა, ხოლო დღეისათვის იგი 20 ქვეყანას აერთიანებს, რომლებიც წარმატებით მუშაობენ თავის ქვეყანაში მეაბრეშუმეობის განვითარების მიმართულებით.

მეაბრეშუმეობის ქვეშ იგულისხმება თუთის ნარგაობის მოშენება, აბრეშუმის გრენის წარმოება, შენახვა-გაცოცხლება, ჭიის გამოკვება, პარკის მოყვანა, დამზადება, პირველადი დამუშავება-შენახვა-რეალიზაცია. უფრო მარტივად, რომ ვთქვათ მეაბრეშუმეობა, როგორც სოფლისმეურნეობის დარგი, გულისხმობს იმ რთულ კომპლექსთა ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს აბრეშუმის პარკის წარმოებას.

BACSA-ში გაერთიანებული ორგანიზაციები დღეისათვის გარკვეულ პრობლემებს განიცდიან. პრობლემები მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიო მეაბრეშუმეობის ბაზარი დაპყრობილი აქვს ჩინეთს და ნაწილობრივ ინდოეთს. ჩინეთი დღეისათვის მსოფლიო მეაბრეშუმეობის 82 %-მდე პროდუქციას ამზადებს, რომლის ნახევარს იგი თავის შიდა ბაზარზე მოიხმარს, ხოლო მეორე ნახევარი კი გააქვს მსოფლიო ბაზარზე.

მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს მეაბრეშუმეობაც, რომელიც შეიძლება ითქვას ნულიდან იწყებს დარგის აღორძინებასა და განვითარებას, რომელიც მონატრებული აქვს საქართველოს მოსახლეობას, ვინაიდან იგი მათი ოჯახებისათვის დამატებითი შემოსავლების საუკეთესო წყარო იყო.

კონფერენციის ორგანიზატორი BACSA-სთან ერთად იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უდიდესი სამუშაო ჩაატარა, რათა კონფერენცია წარმატებით ჩატარებულიყო და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიეღო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ BACSA-ს წევრი ქვეყნები - საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, პოლონეთი, იტალია, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, აგრეთვე მოწვეული სტუმრები ჩინეთიდან და ინდოეთიდან.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა გაეროს კომისარი მეაბრეშუმეობის მიმართულებით დოქტ. დილიიპ კუმარი (ინდოეთი).

კონფერენციას მიესალმენ აჭარის ავტონომიური რეაპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ტიტე აროშიძე და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

BACSA-ს პრეზიდენტის პროფ. პანომირ ცენოვის საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ იყო გაშუქებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის სტატუსი და განვითარების ტენდენციები დღევანდელ მსოფლიოში, მეაბრეშუმეობის განვითარების ძირითადი ხელშემშლელი პირობები, ბაზარი და პროდუქციის წარმოების ძირითადი მიმართულებები, გასათვალისწინებელი კრიტიკული ფაქტორები და დაბრკოლებები, მეაბრეშუმეობის წარმატებული განვითარების მაგალითები, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა და ტრეინინგი, BACSA-ს რეგიონალური კოოპერაციის ძირითადი პრინციპები და თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის, განათლებისა და ტრეინინგის მიმართულებით.

კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 46 მოხსენება, მათ შორის საქართველოდან 7 მოხსენება და 8 სტენდური მოხსენება. საქართველოს მეაბრეშუმეობის შესახებ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა BACSA-ს კოორდინატორმა საქართველოში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, აკად. ელგუჯა შაფაქიძემ, რომელმაც ისაუბრა საქართველოს მეაბრეშუმეობის დღევანდელ მდგომარეობაზე და იმ პრობლემებზე, რომელიც დღეისათვის შექმნილია საქართველოს მეაბრეშუმეობაში, აგრეთვე პერსპექტივებზე, რომელიც დასახულია აკადემიისა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების პროექტებში.

პლენარულ სხდომაზე მოხსენება თემაზე "აბრეშუმი საქართველოს კულტურასა და რელიგიაში, წარსული და აწმყო" გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელმა, პროფ. ირინა ბახტაძემ, რომელმაც კონფერენციის მონაწილეების დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციაზე იმსჯელეს BACSA-ს სამომავლო პერსპექტივებზე, სადაც გამოიკვეთა ორგანული მეაბრეშუმეობის როლი ბიოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ორგანული ტექსტილის კონტექსტში, შემუშავდა რეკომენდაციები ორგანული აბრეშუმის წარმოების განვითარებისათვის, წამოყენებული იყო წინადადებები მსოფლიო მეაბრეშუმეობის სამომავლიო პერსპექტივებზე და BACSA-ს წევრი ქვეყნების რეგიონალური თანამშრომლობის როლის შესახებ.

აღსანიშნავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთელი კოლექტივის მიერ გატარებული საორგანიზაციო და საინტერესო ღონისძიებები, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი BACSA-ს მე-9 საერთაშორისო კონფერენციის წარმატებით წარმართვას, რაც პირველ რიგში საქართველოს მეაბრეშუმეობის სამომავლო პერსპექტივებისათვის არის მნიშვნელოვანი.

აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა

მიმდინარე წლის 24 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა. მოკლე მოხსენებით გამოვიდა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ 26 აპრილის - ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს ორი აგრარიკოსი-მეცნიერი, რომლებსაც გააჩნიათ ჩვენი ქვეყნის მოქმედი პატენტების დიდი რაოდენობა, კერძოდ კი ღვაწლმოსილი გამომგონებელი, დოქტორი ვლადიმერ მირუაშვილი და ახალგაზრდა გამომგონებელი, დოქტორი ედიშერ მიდელაშვილი დაჯილდოვდნენ აკადემიის საპატიო სიგელებით.

შემდეგ მოსმენილი იქნა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს წარმომადგენლების დავით გაბუნიას და მერაბ კუციას მოხსენება: „აგრარული პროდუქციის ადგილწარმოშობის დასახელების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ახალი ჯიშების რეგისტრაციის სფეროში მოვლენების ანალიზის შესახებ“.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვეყანაში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარების ძირითად ამოცანებს. ასევე აღინიშნა, რომ ახალი ჯიშის გამოყვანის პროცესი ადამიანის მიზანმიმართული შემოქმედებითი საქმიანობაა და ასეთი შრომის ნაყოფი განეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს, რომელსაც ესაჭიროება სამართლებრივი დაცვა, რათა სელექციონერმა ამ ჯიშის გასამრავლებელი მასალის რეალიზაციის გზით მიიღოს გაწეული შრომისა და მატერიალური დანახარჯების ანაზღაურება და გარკვეული მოგება.

სხდომამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდა უნდა ჩაატაროს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირმა, ხოლო გამოცდის შედეგები დაადასტუროს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულმა საექსპერტო საბჭომ. სამწუხაროდ, ასეთი აკრედიტებული პირი საქართველოში დღემდე არ არსებობს და შესაბამისად, ჯიშის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ან სელექციონერის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების საფუძველზე. კომისიამ დაადგინა, რომ მისი წევრებისგან და „საქპატენტის“ და სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებისაგან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს საკითხის დარეგულირების ვარიანტებს და წარუდგენს აკადემიის პრეზიდიუმს.

ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღე

მიმდინარე წლის 1 მაისს, საქარველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღეს.

სხდომაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის “ინვესტირება და ხარისხი სოფლის მეურნეობაში” გენერალური დირექტორი ლაშა ავალიანი, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ სოხაძე, ვეტერინართა ასოციაციის პრეზიდენტი ლალი ვაშაკიძე, პირველი ქალი პროფესორი ვეტერინარიაში ზაირა ქაფიაშვილი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ზოონოზური დაავადებების განყოფილების უფროსი ნიკოლოზ ცერცვაძე, ზოოტექნკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის ყოფილი რექტორი ჯემალ ნაჭყებია, აგრარული უნივერსიტეტის დეკანი თეო ურუშაძე, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვ.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა, რომელმაც მსმენელებს მოუთხრო ზოგადად ვეტერინარიის და ვეტერინარი ექიმის მნიშვნელობაზე, მათ როლზე მეცხოველეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების თალსაზრისით.

ქართული ვეტერინარიის და ვეტერინარი ექიმების შესახებ ფართო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. მან დეტალურად გააშუქა ქვეყანაში ვეტერინარული მდგომარეობა. ისაუბრა პრობლემებზე, მათი დაძლევის გზებზე. სიტყვით გამოვიდნენ ასევე ლაშა ავალიანი, მიხეილ სოხაძე, ლალი ვაშაკიძე, ზაირა ქაფიაშვილი, ნიკოლოზ ცერცვაძე, ჯემალ ნაჭყებია, ლევან თორთლაძე, დავით გოდერძიშვილი, ლევან მაკარაძე, ბესარიონ ლასარეიშვილი გამომსვლელებმა ვეტერინარ ექიმებს მიულოცეს ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღე, აღნიშნეს რომ ქართველისათვის უცხო არ არის ცხოველებისადმი კეთილი დამოკიდებულება. ჯერ კიდევ კარაბადინში იყო აღწერილი სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ცხოველთა მკურნალობის შესახებ. გარდა ამისა გამოთქვეს გულისტკივილი იმის გამო, რომ ამჟამად ქვეყანაში ვეტერინარ ექიმთა სწავლების დონე არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. მიუხედავად ამისა მათ გამოთქვეს იმედი, რომ უახლოეს მომავალში მდგომარეობა კარდინალურად შეიცვლება და ქართველი ვეტერინარი ექიმები ტოლს არ დაუდებენ უცხოელ კოლეგებს.

კონფერენციის მსვლელობისას სიტყვით გამოვიდნენ სტუდენტები - _ მომავალი ვეტე-რინარები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ეს სპეციალობა მათ ძალიან მოსწონთ, უყვართ და შეეცდებიან მაქსიმალურად კარგად დაეუფლონ ვეტერინარი ექიმის პროფესიას.

კონფერენციის ბოლოს მოხსენება თემაზე: "საქართველოში სასოფლო - სამეურნეო ცხოველების ჯილეხით დაავადების დინამიკა" გააკეთა ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა სპეციალისტმა ნათია ქარცხიამ. მან მსმენელებს გააცნო საქართველოში 2012-2018 წლებში ჯილეხის დაავადების ეპიზოოტიური სიტუაციის მდგომარეობა. კვლევის მონაცემებმა ცხადყო, რომ საქართველოში ბოლო 7 წლის განმავლობაში ჯილეხით დაავადებულთა რაოდენობა, როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში საგრძნობლად შემცირდა, რაც ვეტერინარი ექიმების ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძა-ნებისათვის და გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილ მსგავსი ტიპის კონფერენციებში ისინი მომავალშიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას.

მეცნიერები საქართველოს ტყეების პრობლემებზე და პერსპექტივებზე მსჯელობენ

2019 წლის 16 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, სადაც განიხილეს საქართველოს ტყეების არსებული მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები.

მრგვალ მაგიდაზე მოწვეული იყვნენ აკადემიის წევრები, საქართველოს სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები, სატყეო დარგის ექსპერტები, სატყეო მიმართულების სტუდენტები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და აკადემიის საშეფო 31-ე საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები სკოლის დირექტორის, ქალბატონ მარინა ნიჟარაძის ხელმძღვანელობით.

მრგვალ მაგიდა შესავალი სიტყვით გახსნა

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც აღნიშნა ღონისძიების მნიშვნელობა და სატყეო საქმის მიმართულებით აკადემიის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, მიღებული წინადადებები, რომლებიც გადაეგზავნა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ სტრუქტურებს.

შეხვედრაზე ძირითადი მოხსენება „საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგში არსებული პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები“ გააკეთა სატყეო დარგის ექსპერტმა, დოქტორმა მერაბ დვალმა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სატყეო საქმის მეცნიერებმა და ღვაწლმოსილმა სპეციალისტებმა - დოქტ. ა. სუპატაშვილმა , დოქტ. გ. გაგოშიძემ, მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელმა და ღვაწლმოსილმა მეტყევემ, ბატონმა ა. მგელაძემ, საპატრიარქოს სახელით გამოვიდა ბატონი ბ. გულუა, სატყეო სააგენტოდან - ბატონი ნ. ბერეჟიანი. მრგვალი მაგიდის წევრებს მიესალმა თბილისის 31-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი მ. ნიჟარაძე.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გივი ჯაფარიძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა სატყეო მიმართულებით აკადემიის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ წინადადებაზე, რომელიც გაითვალისწინა პარლამენტმა, ისაუბრა ტყის კოდექსის ახალი ვარიანტის შემუშავების მიმდინარეობაზე. აკად. გ. ჯაფარიძემ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს სთხოვა წერილობით წარმოადგინონ მათი ხედვები საქართველოში სატყეო მეუნეობის პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ, რომელთა განხილვაც მიზანშეწონილია გაიმართოს რაც შეიძლება ჩქარა, რათა კიდევ ერთხელ მიეწოდოს აკადემიიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებს საქართველოს სატყეო მეურნეობაში შექმნილი დღევანდელი პრობლემების დაძლევის კონკრეტული და დროულად გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გამოცხადებული კონკურსების შედეგები

2019 წლის 03 ივნისს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) და აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) და აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევად გამოცხადებული კონკურსის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საექსპერტო-საკონკურსო კომისიის დასკვნის შესახებ.

მომხსენებელი: საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) და აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნების ჩატარება (ფარული კენჭისყრა).

საქათველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების (თავი X, მუხლი 45,46,48,51 და 53) და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების ჩატარების დროებითი დებულების (ოქმი #1, 25 იანვარი 2019 წელი) თანახმად, აკადემიის საერთო კრებაზე ჩატარებულმა ფარულმა კენჭისყრამ (ოქმი #2, 03 ივნისი, 2019 წელი) გამოავლინა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და აკადემიის სტიპენდიატები სამეცნიერო განყოფილებების მიხედვით:

სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილებაში - სპეციალობა 0105 "მეტყევეობა", სპეციალიზაცია 010501 "სატყეო მეურნეობა" (აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი)

გიორგი გაგოშიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

1. აგრონომიის სამეცნიერო განყოფილებაში (აკადემიის სტიპენდიატი)

1.1. ქვარცხავა გიგა - ქიმიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროაგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;

2. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილებაში (აკადემიის სტიპენდიატი)

2.1. გიორგაძე ანატოლი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საძეცხიერო განყოფილებების კოორდინატორი, პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

3. აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილებაში ((აკადემიის სტიპენდიატი)

3.1. ქუთელია გიორგი - ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ...რნეობის სამინისტროს სსიპ სამეცხიერო კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

4. სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილებაში (აკადემიის სტიპენდიატი)

4.1 ქავთარაძე გიორგი - სატყეო საქმის აკადემიური დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

5. ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში (აკადემიის სტიპენდიატი)

5.1 ჯაბნიძე ნატო - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;

6. სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილებაში (აკადემიის სტიპენდიატი)

6.1. სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით

კაციტაძე ეკატერინე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი;

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

6.2. **სურსათის უვნებლობის მიმართულებით**

დუღაშვილი დარეჯანი - ქიმიის აკადემიური დოქტორი, შპს ,,გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი", ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ახლად არჩეულ მეცნიერებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აკადემიის წამდვილი წევრის (აკადემიკოსის) და აკადემიის სტიპენდიანტების კონკურსში გამარჯვებას, უსურვებს მრავალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის აგრარული მეცნიერების აღმავლობისა და განვითარების საქმეში.

აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა

2019 წლის 05 ივნისს აკადემიაში ჩატარდა აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით "საქართველოს მეაბრეშუმეობის პრობლემები და პერსპექტივები" წარსდგა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეაბრეშუმეობა ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებისა და ზრუნვის საგანი, სავალუტო შემოსავლების წყარო, ქართული აბრეშუმი კონკურენტუნარიანი იყო მსოფლიო ბაზარზე. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შემდეგ განხორციელებული აგრარული რეფორმები მეაბრეშუმეობისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მართალია, დღევანდელ ხელისუფლებას გააჩნია დარგის აღორძინების კეთილი ნება და შესაძლებლობაც, მაგრამ ჯერჯერობით ხელშესახები არაფერი გაკეთებულა. აღინიშნა, რომ დარგის აღორძინება კოოპერირებისა და მეურნეობრიობის სხვა ფორმების განმტკიცებით უნდა მოხდეს. ამასთან, აუცილებელია დარგის საწარმოო პოტენციალის სრული ამოქმედება, თავისუფალი მუშახელის დასაქმება, მექანიზაციის დონის ამაღლება და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ყველა შესაძლებლობის გამოყენება. მეაბრეშუმეობის განვითარების შემზღუდავ ფაქტორთა შორის დასახელდა სუსტი საკვები ბაზა, ადგილობრივი გრენის წარმოების აუცილებლობა, დარგთა რაციონალური შეთანაწყობის გაღრმავება; უნდა განხორციელდეს სარგავი მასალის წარმოების ეფექტური ღონისძიებები, ხარისხის თანმიმდევრული გაუმჯობესება და შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის მეაბრეშუმეობის ასოციაციასთან (BASCA), მჭიდრო ინტეგრაცია, გაძლიერდეს მეაბრეშუმეობაში სასელექციო საქმიანობა, რომელშიც გამოსაყოფია თუთის სელექციის სფეროში დაავადება ფოთლის სიხუჭუჭისა და ე.წ. „ალურას" წინააღმდეგ მედეგი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, გამძლე საძირეების შერჩევა, ჰიბრიდული მეთესლეობის სრულყოფა, შემორჩენილი საკოლექციო ჯიშების თავმოყრა და სასელექციო მიზნით გამოყენება, ხოლო თუთის აბრეშუმხვევიას სელექციის ძირითად მიმართულებად აღიარებულია

კონკურენტუნარიანი მაღალი აბრეშუმიანობის და ხარისხის აბრეშუმის ძაფის მომცემი ჯიშების (რომელთა კვების ხანგრძლიობა სასურველია 25-26 დღის ფარგლებში მერყეობდეს) გაუმჯობესება.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი სააგენტოების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები-აგრარიკოსები, ფერმერები; სხდომის დადგენილება გადაეცემა აკადემიის პრეზიდიუმს განსახილველად და ხელისუფლების ორგანოებში წინადადებების წარსადგენად.

ინოვაციების კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფი, რომელიც გააგრძელებს მუშაობას აღნიშნულ საკითხებზე, იმსჯელებს მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენასა და განვითარებაზე, შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომა

მიმდინარე წლის 6 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდის პრობლემები და მისი გადაწყვეტის ღონისძიებები, მომხსენებელი - აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე. 2. საქართველოს მეფრინველეობა გუშინ, დღეს, ხვალ - მომხსენებელი სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიული გოგოლი, სოფ. მეურნეობის მეცნ.დოქტორი გოგი მაძღარაშვილი, ვეტ.მეცნ.დოქტორი პროფესორი მაია კერესელიძე, სამეცნიერო საბჭოს და აგრარული დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა დარბაზის წევრები.

სხდომას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა. მან სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა აკადემიკოს ჯემალ კაციტაძეს, რომელმაც ფართოდ ისაუბრა სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდის პრობლემებზე და მისი გადაწყვეტის ღონისძიებებზე, აღნიშნა, რომ კონკურენტუნარიანი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება ეფუძნება კომპლექსურ მანქანათა სისტემებს, მათ ტექნოლოგიებს, მთიანი რეგიონების თავისებურებებს და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. ბატონმა ჯემალ კაციტაძემ ყურადღება გაამახვილა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა დღეს ენიჭება ტექნიკური საშუალებების ოპტიმალურ ექსპლუატაციას და ტექნიკურ მომსახურების და რემონტის საკითხების მოგვარებას. აღნიშნული სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტებში უკვე დაიწყო ტექნიკური სერვისის საწარმოების გახსნა.

მოხსენების ირგვლივ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორმა გ.მაძღარაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა კ.მიქაძემ.

აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

შემდგომ სიტყვა მოხსენებისათვის გადაეცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს თენგიზ ფირცხალაიშვილს. მომხსენებელმა ისაუბრა მეფრინველეობის დარგის განვითარებაზე, მის ამჟამინდელ მდგომარეობასა და მომავალი პერსპექტივების განვითარების შესახებ. დამსწრე საზოგადოებას გააცნო გასულ პერიოდში შექმნილი მეფრინველეობის სრულყოფილი ერთიანი სისტემა, სადაც გაერთიანებული იყვნენ: სანაშენე მეურნეობები, რეპროდუქტორები, მეფრინველეობის ფაბრიკები, საცდელი სადგურები, ინკუბატორები რომელთაც გააჩნდათ ყველა რესურსი და სიმძლავრე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში საკარმიდამო და წვრილ-ფერმერულ მეურნეობებს დღეს-დღეობით დიდი ხვედრითი წილი უკავიათ ფრინველის კვერცხისა და ხორცის წარმოებაში.

მოხსენების ირგვლივ თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს: პროფესორმა გ. გოგოლმა, პროფ, ნ. ნათაძემ, თ. ედიშერაშვილმა. სოფლის მეურნეობის დოქტორის თენგიზ ფირცხალაიშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

სამეცნიერო საბჭოს სხდომა შეაჯამა სხდომის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა.

გასვლითი მრგვალი მაგიდა საქართველოს მეაბრეშუმეობის მუზეუმში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს და მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების წევრების მონაწილეობით საქართველოს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო გასვლითი მრგვალი მაგიდა თემაზე: „მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა ნინო კუპრავამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო მუზეუმის შექმნის ისტორია, არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების გეგმები.

მეაბრეშუმეობის დარგის თანამედროვე მდგომარეობაზე ისაუბრა სოფლის მეურნეიბის მეცნიერებათა დოქტორმა ნარგიზ ბარამიძემ.

აკადემიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს მუზეუმის ბიბლიოთეკა, გაეცნენ აბრეშუმის პარკის, საღებავების, პეპლების, მაქმანის და გრენის კონტეინერების კოლექციებს.

სიტყვით გამოვიდნენ: პროფესორი რ. კიკვიძე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მ. კერესელიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მამუკელაშვილი, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს საინტერესო მოხსენებისათვის.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ელგუჯა გუგუშვილმა.

შეხვედრები კომპანიაში „ფირმა ლომთაგორა“

2019 წლის 8 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკად. ე. შაფაქიძე და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის სამეცნიერო მიმართულებების კონსულტანტი, აკად. ა. ვაშაკიძე დაესწრენ მარნეულის მუნიციპალიტეტში, კომპანია „ფირმა ლომთაგორას“ მიერ ორგანიზებულ სემინარს „ქართული ხორბალი და მისი სამომავლო პერსპექტივები“.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრმა გ. ჟორჟოლიანმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. ხანიშვილმა, სამინისტროს დეპარტამენტების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა,

ფერმერებმა, წარმოების მუშაკებმა და ღვაწლმოსილმა სელექციონერებმა.

ბოლო ორი ათეული წელიწადია „ფირმა ლომთაგორა“ ფერმერებს ადგილობრივი წარმოების მარცვლეულის - ხორბლისა და სიმინდის სუპერელიტურ, ელიტურ და პირველი კატეგორიის სათესლე მასალებს სთავაზობს. კომპანიის ხელმძღვანელობის ამბიცია, რომ ხორბლის მოსავლიანობის მაჩვენებლებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს გაუტოლდნენ, თანდათან ხორცს ისხამს. კომპანიაში დღეს ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 6,0-6,5 ტონის ფარგლებში მერყეობს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად მიღწევაა.

დამსწრე საზოგადოება უშუალოდ მინდორში გაეცნო კომპანიაში წარმოებული ხორბლის ჯიშებს, მათი მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიებს, კომპანიაში სელექციის შედეგად მიღებული ხორბლის ჯიშების სხვადასხვა ტექნოლოგიით დამუშავებულ ნათეს ფართობებს. განმარტებებს იძლეოდა კომპანია „ფირმა ლომთაგორას“ დამფუძნებელი, დოქტორი კახა ლაშხი, კომპანიის მეხორბლეობის მიმართულების ცნობილი სპეციალისტი ირაკლი რეხვიაშვილი, კომპანიის მეხორბლეობის ღვაწლმოსილი სელექციონერები ზურაბ ჯინჯიხაძე და ზაურ ჭულუხიძე.

დღეისათვის „ფირმა ლომთაგორაში“ იცდება მარცვლეულის მოყვანის ახალი ტექნოლოგია, რომელიც პროგრესულ ტექნოლოგიად ითვლება. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ხორბალი დათესილია 1,05 მ სიგანის ბაზო-კვლებზე. სტანდარტული ბაზოების სიგანედ მიღებულია 0,75 მ და ამ ტიპის ბაზოებზე და ტექნოლოგიაზე სხვა მეცნიერებთან ერთად გარკვეული სამუშაოები აქვს ჩატარებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებსაც (აკად. გ. მარგველაშვილი, აკადემიის წ/კ ო. ლიპარტელიანი და სხვა).

ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიის იდეა ეკუთვნის „ფირმა ლომთაგორას“ დამფუძნებელს დოქტ. კ. ლაშხს. აღსანიშნავია, რომ ახალი ტექნოლოგიის განხორციელების შედეგად კომპანიაში ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 5-6 ტონა/ჰა-ზე და შესაძლებელია 8,0 ტ/ჰა მიღებაც.

კომპანიის საცდელი ნაკვეთებიდან სემინარის მონაწილეებმა გადაინაცვლეს საკონფერენციო დარბაზში, სადაც საინტერესო მოხსენებით გამოვიდა დოქტ. კ. ლაშხი. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრმა გ. ჟორჟოლიანმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. ხანიშვილმა, ღვაწლმოსილმა სელექციონერებმა ზ. ჯინჯიხაძემ და ზ. ჭულუხიძემ, ფერმერებმა და წარმოების მუშაკებმა.

დასასრულს აკად. გ. ალექსიძემ სემინარის ყველა მონაწილე მოიწვია 2019 წლის 2-5 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის. კონფერენციის თემა: „კულტურული ხორბალი ევროპის ქვეყნებში და საქართველო, როგორც კულტურული ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი კერა“. კონფერენცია ტარდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

შეხვედრა აკადემიის სტიპენდიატებთან

2019 წლის 14 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ახლად არჩეულ აკადემიის სტიპენდიატებთან შეხვედრას.

შეხვედრას აკადემიის პრეზიდიუმის წევრების გარდა ესწრებოდნენ აკადემიის წევრები, აკადემიის სტიპენდიატების კონკურსში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერები, აკადემიის აპარატის თანამშრომელები, მოწვეული სტუმრები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტები.

შეხვედრა გახსნა და ახალგაზრდა მეცნიერებს აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევ კონკურსში გამარჯვება მიულოცა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გივი ჯაფარიძემ. მან ფართოდ ისაუბრა აკადემიის სტიპენდიატების სამომავლო პერსპექტივებზე, გამოკვეთა მათი როლი აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების საქმიანობაში და ის ძირითადი მიმართულებები, რაზედაც მოუწევთ საქმიანობა ახლად არჩეულ სტიპენდიატებს. აკად. გ. ჯაფარიძემ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, ის კანდიდატები, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევ კონკურსში, არჩეული იქნებიან აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოში და ჩაერთვებიან

აკადემიის სამეცნიერო საქმიანობაში.

აკად. გ. ჯაფარიძემ აკადემიის სტიპენდიატებს - დოქტორებს გიორგი ქვარცხავას, ანატოლი გიორგაძეს, გიორგი ქუთელიას, ეკატერინე კაციტაძეს, დარეჯან დუღაშვილს და ნატო ჯაბნიძეს გადასცა აკადემიის სტიპენდიატის დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

აკად. გივი ჯაფარიძემ ამავე სხდომაზე აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა მიულოცა და გადასცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკოსის დიპლომი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი გაგოშიძეს.

შეხვედრაზე აკადემიის სტიპენდიატებს მიესალმენ და კონკურსში წარმატებები მიულოცეს აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველმა, აკად. ნ. ჭითანავამ, სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნებმა ო. ქეშელაშვილმა და გ. მარგველაშვილმა, აკად. ნ. ბაღათურიამ და აკად. ზ. ცქიტიშვილმა.

საქართველო-კორეის ერთობლივი ექსპედიცია

მიმდინარე წლის 10-28 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრს სამუშაო ვიზიტით ეწვია სამხრეთ კორეის დელეგაცია, დოქტორი დო იუნ ჰუნი, მუნ სუპ იუნი და კიმ სონ ჰუნი.

ვიზიტი განხორციელდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის განვითარების ადმინისტრირების აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია მცენარეთა გენეტიკური რესურსების გაცვლის, მართვისა და კვლევის ორმხრივი თანამშრომლობის განხორციელება. საქართველოს მხრიდან ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის ბოსტნეული კულტურების ეროვნული კოორდინატორი, დოქტორი ნატო კაკაბაძე.

ექსპედიციის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ბოსტნეულ–ბაღჩეულის, მარცვლეულის და სხვ. ადგილობრივი ჯიშების და ჯიშპოპულაციების სათესლე მასალის მოძიება-შეგროვება. სულ ექსპედიციის შედეგად შეგროვებული იქნა 500 ნიმუში (თბილისის შემოგარენი, ქობულეთი, ბათუმი, რუსთავი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, ზუგდიდი, მესტია, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ამბროლაური, ტყიბული, ხაშური, ბოლნისი, მარნეული). აღნიშნული მასალა გაიგზავნა სამხრეთ კორეის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრში.

მომავალში გათვალისწინებულია ქართველი სპეციალისტების მივლინება კორეაში ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეგროვებული მცენარეთა გენეტიკური მასალის ადგილობრივ პირობებში გამრავლების შესწავლის მიზნით.

სამხრეთ კორეელი სტუმრები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2019 წლის პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 11 საკითხი. მათ შორის: ინფორმაცია BACSA -ს მე-9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (ბათუმი, აჭარა, აპრილი 2019 წელი) შედეგების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე;

ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის 2018 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და 2019 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი გიგა ქვარცხავა; აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე. აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე. ინფორმაცია ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტის მიერ 2018 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2019 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. მომხსენებელი: ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მოწვევის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის **“კულტურული ხორბალი ევროპის ქვეყნებში და საქართველო, როგორც კულტურული ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი კერა”** შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.** ინფორმაცია სექტემბრის თვეში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ’ში მონაწილეობის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. ინფორმაცია იაპონიაში გასამართი მეაბრეშუმეობის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე.**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი:	*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,* ***აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე***
გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე:	*სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი,* ***სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე***
გაზეთ “აკადემიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:	*სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი,* ***ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი***

”აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.